ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 285

ქალაქი ქუთაისი 24 აპრილი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 16 აპრილის № 44–4424107413 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონების (გარე განათების კონსტრუქციის (ბოძი) წერტილები) 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (04.03.2022 წელი, №06/03) შესაბამისად, რომელიც შეადგენს შეადგენს 155.0 (ას ორმოცდათხუთმეტი) ლარს.

მუხლი 3. სააქციო საზოგადოება „სილქნეტმა" (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978) ქალაქ ქუთაისში გადაცემული 31 (ოცდათერთმეტი) ერთეული გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილი გამოიყენოს

საქართველოს ეროვნული არქივი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მას. № 126
25" 04 2024

საკომუნიკაციო ქსელის მოსაწყობად, 1 (ერთი) ერთეული კაბელის გატარებისათვის, უსაფრთხოების ნორმებისა და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების სრული დაცვით. სამუშაოების შესრულების შემდგომ უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოების წარმოება.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2024 წლის 24 აპრილის
№ 285 განკარგულების დანართი

სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204566978)
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი

№	მისამართი	ქონების დასახელება	გარე განათების კონსტრუქციაზე (ბოძი) წერტილე-ბის რაოდენობა	საკადასტრო კოდი
1.	ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირის №19ა-ს მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	5	03.00.050
2.	ქალაქი ქუთაისი, შერვაშიძის ქუჩის №53-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	3	03.00.359
3.	ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩის №5-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	6	03.00.037
4.	ქალაქი ქუთაისი, კიკვიძის ქუჩის №7-ის მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	6	03.00.075
5.	ქალაქი ქუთაისი, ასათიანის ქუჩის (ყოფილი წულუკიძის ქუჩა) №98ვ-ს მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	5	03.00.041
6.	ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირის №51დ-ს მიმდებარედ	გარე განათების კონსტრუქცია (ბოძი)	6	03.00.072
	სულ		31	

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია